

სერვიტუტის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია უძრავ ქონებაზე

უძრავი ქონება

სამოქალაქო კოდექსის თანახმად უძრავი ქონება განმარტებულია, როგორც მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

რეგისტრაციის მიზნებიდან გამომდინარე, „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონის თანახმად, უძრავი ნივთი განმარტებულია, როგორც მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა.

სერვიტუტი

მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ (სერვიტუტი). სერვიტუტის დადგენის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენისათვის გათვალისწინებული წესები.

რას ნიშნავს უძრავ ქონებაზე სერვიტუტის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია?

უძრავ ნივთზე სერვიტუტის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია ნიშნავს ამ უფლების შეწყვეტის შესახებ მონაცემთა აღრიცხვას შესაბამის რეესტრში.

სერვიტუტის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის მომენტიდან პირი რომელიც რეგისტრირებული იყო, როგორც სერვიტუტის უფლების მქონედ კარგავს უფლებას ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ (სერვიტუტი).

როდის დგება სერვიტუტის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის საჭიროება?

იმ შემთხვევაში თუ სერვიტუტის უფლება რეგისტრირებულია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, საჭიროა დარეგისტრირდეს სერვიტუტის უფლების შეწყვეტაც სერვიტუტის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, ვინაიდან მხოლოდ უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით ითვლება რომ სერვიტუტის უფლება აღარ არსებობს.

ვის მივმართო სერვიტუტის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციისთვის?

უძრავ ქონებაზე სერვიტუტის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციისათვის მიმართეთ ბათუმის იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. სათანადო წესით დამოწმებული, სერვიტუტის უფლების გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბოქსის ინფორმაცია:

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

საჯარო რეესტრის ეროვნული საჯარო რეესტრის წარმოებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით.

ვადა და საფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
4 სამუშაო დღეში	50 ლარი
1 სამუშაო დღეში	150 ლარი
იმავე დღეს	200 ლარი

